საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №39

ბათუმი

„29" დეკემბერი 2023 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 მაისის N15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 84[1] მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 15 მაისის N15 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესში" (დანართი N1) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით. სტაჟირების კონკურსი ცხადდება წელიწადში ორჯერ, უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო სესიის დაწყებამდე. გადაწყვეტილებას სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი."

ა.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა, კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უმაღლესი საბჭოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: contact@Sca.ge უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი სტაჟირების გავლის თაობაზე;

ბ) უმაღლესი განათლების პირველი საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე ან მესამე საფეხურზე ან პროფესიული განათლების საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) სწავლის დამადასტურებელი ცნობა ან/და უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი."

ბ) მე-8 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრებისაგან. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ბრძანებით ნიშნავს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის მდივანს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს.“

ბ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სტაჟირების კომისიის თავმჯდომარეა უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ: უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი, უმაღლესი საბჭოს აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, სადაც გამოცხადებულია კონკურსი და კომისიის სხვა წევრები.“

გ) მე-14 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მენტორის შუამდგომლობის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს წარუდგენს სტაჟიორთა მიერ სტაჟირების გავლის პერიოდში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე მათ დახასიათებებს.“

გ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, სტაჟირების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დახასიათების საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ.“

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე